



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87.8722055001

თარიღი: 24/02/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №2

ქ. ახმეტა, 23 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, გ. შაშიაშვილი,

კ. მამულაშვილი, გ. მამუჩარაშვილი,

ბ. კაიშვილი, ზ. ფიცხელაური

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

3. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის მოადგილედ, ლევან ჭიჭიკოშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მიღებულა: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: საკრებულოს ახალი რეგლამენტის დამტკიცება გამოწვეულია იმით, რომ ამჟამად მოქმედ რეგლამენტში არ არის ასახული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში მომხდარი ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ რეგლამენტის მიღების შემდეგ.

პროექტის თანახმად, რეგლამენტი შედგება პრეამბულის, 21 თავისა და 137 მუხლისაგან.

მოქმედი რეგლამენტი შეიცავს ნორმატიულ, ტერმინოლოგიურ და გრამატიკულ უზუსტობას, რაც საჭიროებს გასწორებას. რეგლამენტის ახალ პროექტში ეს ხარვეზები აღმოფხვრილია.

ახალი რეგლამენტის პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს, მასში სრულყოფილად არის ასახული საკრებულოს და მისი ორგანოების სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის წესი, ასევე საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თანამდებობის პირების სტატუსი, უფლებები და მოვალეობები.

პროექტი განხილულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მღისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: პროექტის მიხედვით სოციალურ პროგრამას ემატება ახალი სამიზნე ჯგუფი (100 წლის ასაკს გადაცილებული პირები), ასევე იცვლება ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სტაციონარში მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების დაფინანსება, აგრეთვე ხდება ტერმინთა ცვლილება და მოქალაქეთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების დაზუსტება, ასევე სოციალური დახმარების მისაღებად განცხადების წარდგენის ვადის დაზუსტება. ნორმატიული აქტის პროექტის მიზეზი არის ზემოაღნიშნული ცვლილებები.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სოციალური დახმარების მიძღვრება წრის გაფართოება, ტერმინთა დაზუსტება, სოციალური დახმარების მიძღვრებათვის სოციალური დახმარების ოდენობის გაზრდა.

გელა ონიაშვილმა შემოიტანა წინადადება: გაიზარდოს იმ მოქალაქეთა დაფინანსება, რომელთა სარეიტინგო ქულა 120 000-ზე ნაკლებია.

ბიურომ იმსჯელა, საკითხი საკრებულოს სხდომამდე კიდევ იქნას შესწავლილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მღისმინეს: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის მოადგილედ, ლევან ჭიჭიკოშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოხდა ცვლილება. კარლო მუსხაურის ნაცვლად, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა ლევან ჭიჭიკოშვილი.

საკითხი ბიუროს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11⁴⁰ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

